


გაზეთით თულისში	ბაზუგაზენელათ:
და გარეშე აღიღებში:	— — — 6 მან.
მართის წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუზაგენელათ — 3 შაურ.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.	

დროება



ამოთხა წელიწადი:

თბილისში

საქონლ-მოწარა მიიღება:

თულისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
შვილის და კამა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახლში
თულისის გარეშე მცხოვრებთათვის აღესი: ВЪ Тбилисѣ. Въ
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრძოლის ასობით გაზეთის სტრაქონზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

კადამტია უმოკრეილასათ სთხოვს იმ
ხელის—მოკრეილას, რომელთაც ამა-
დინგაზეთის ფული არ უამოუბანიათ,
ახლა გამოგზავნონ ის „დროების“ კა-
დამტის სახელზე.

შინაარსი:

პოლიტიკა: ანგლია.—შრანცია.—გერმანია.—
ისპანია.—სერბია.—ჩინეთი.—ტელეგრაფები.—
სხვა და სხვა ამბები.—ლექსი.—შოტა-ტელე-
გრაფი.—საგაქრო ცნობები.—ზალაყინ მეფანტუ-
რე.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.

პოლიტიკა.

ანგლია

ლონდონი, ივლისის 9-ს (21). ლონ-
დონიდან იწერებინ შრანცულს „მთი-
კილიურ შურნალში, რომ გამოდებულა ცდა
მმართველობის პირებისა მდამო ხალხში სწა-

ზალაყინ მეფანტურა.

(ძველებური ლეგენდა)

იყო და არა იყო, — ლეთის უკეთესი ამა-
რა იქნებოდა, — იყო ერთი ბეცი აშული. ეს
აშული ასე ბეცათ დებდა ერთს ძველს სა-
ზანდარსა, და იმისი აშულია იმაში მდგომა-
რებოდა, რომ უკრავდა ერთს გაუთლელს და
წელი ხის ჭიანჭურზედა.

ძველმა საზანდარმა მოინდომა ამ აშულის
გაზრდა, რომ ეგები ამითი სახელი გავიკეთო;
მაგრამ, რაკი ღმერთმა ამ საზანდარს არც იმ-
დენი ნიჭი მისცა, არც იმდენი ღონე და მო-
თინება, რომ ამ პაწაწა აშულისათვის მოე-
ლო და ამის გაზრდაზედ თავი დაედო, ამის
გამო იმან მიანება თავი ამ ჩხილს ბეცს ემა-
წილსა და მიანდო ღვთის ამარაბასა.

იყო ქვეყანაზედ ერთი მარლი მეფანტურე.
ეს მეფანტურე ისეთი მარლი იყო, რომ თა-
ვის ცხვირს იქით არასა ხედავდა ევრცხლსა
და ოქროს გარდა, (მაშინ ქალაქის ფული
არ იყო, თორემ იქნება ისიც დაენახა). მერ-
ცხლი და ოქრო კი რაც უნდა შორსა ყო-
ფილიყო ისე დაინახავდა, როგორც თავის
თავსა, და თუ ერთი შეაგულბდა ვისმე ამ
მეფანტურეს მეტალესა, არა ღონისძიებას არ
დმოგავდა ამათის მოპოვებისა და გამორჩე-
ვისათვის. ამ მეფანტურემ გარდა ფანტურა-
ზედ დაკერისა არა იცოდა რა და არც გავ-
გონა თავის ღვთის სხვა საკრავების ხმა, მხო-
ლოდ ეს კი ჰქონდა გაგონილი, რომ არის
ფანტურას გარდა სხვა საკრავებიცა და რიგი-
სა აღიღებში ფანტურას არცარაინ კი იკა-
ლებსო.

ამაზედ თითონ მეფანტურეს დარწმუნდა.
თქვა ის კარის კარს დადიდა თავისის ფან-
ტურით, რომელზედაც დამდგოდა თავისსა-
ნათქვამს ლექსებსა და უმდგოდა და შე-
მაჯობდა ყველასა, რომ ეგება ამითი პურის
ლეკმა ვიშოვნო; მაგრამ ეს თავისის ფან-
ტურით რჩებოდა სრულდებით შეუნიშნავი და
ნახევარზედ მშვიდი; ამის გამო ბევრჯერ

ელის გავრცელებისათვის ღირსია ყურადღე-
ბისა. ამ ახლო ხანში გამოვიდა ანგარიში
სასწავლებლების ძომიტეტისა, რომლიდანაც
სჩანს, რომ ანგლიის სახალხო სასწავლებლე-
ბში ძირეულ კარგი დაწყობილება არის. ანგ-
ლიის მმართველობა სცდილობს კარგი სახ-
ლების გამართვას შკოლებისათვის, რომ მო-
სწავლეები ცუდი პერისა, ან სინოტიოს გა-
მო აეთ არ გახდნენ; მმართველობა არ ზო-
გავს ფულებსა და ყოველთვის რიგზე აძლევს
ამისთვის დანიშნულს ხარჯს. შკოლების
მმართველებს ისე მიჰყავთ საქმე, რომ სწა-
ლისათვის გადასახად ფასს ყოველ წელიწადს
უკლებენ. შევლაზე უფრო გასაკვირველი აქ
შკოლების გამართვება: მთელს ღიდას ბრი-
ტანიაში შარშან 14 ათასი სახალხო შკოლა
იყო; ამ რიცხვს ერთი წლის განმავლობა-
ში მოემატა კიდევ ათასი; ასე რომ ცხლა ღიდა
ბრიტანიაში (ანგლიაში, შოტლანდიაში და
ირლანდიაში) სულ 15 ათასი შკოლაა. — მხ-
ლა იმ მოსწავლეების რიცხვი, რომლებსაც
ედლევათ სახელმწიფოდგან შეწყენა, მილიო-
ნ ნახევრამდინ იქნება. თუმცა მმართველო-

ბოინდომა სხვა საკრავზედ სიმღერის სწავლა,
მაგრამ, რაკი მეტის მეტი მარლი იყო და ევრ
არჩევდა სიმღესა, ამის გამო მმართველმა ხოლ-
მე ისევ თავის ფანტურასა.

ბოლოს ზალაყინ მეფანტურემ გაიგო რომ,
ძველმა საზანდარმა გაუშვა პაწაწა ბეცი მე-
ჭიანურე უბატონოთა, და მაშინვე იფიქრა
ამ მეჭიანურის შეილება.

„ასლი ჩემი საქმეა, იფიქრა ზალაყინმა; მე
ლექსებს ვიტყვი, ის დაისწავლის ჭიანჭურზედა
და დასძახებს; ამ გვართ ვატარებ კარის კარ-
სა და ლუკმა პურს ყოველთვის ვიმოგნით.
მერე ბეციც არის! არა ბეცობა ცოტაა: მე
იმას ორთავ თვალს დაეხრი და უფრო გა-
იკითხვენ. მაინც ისე: გლახა თუ მახინჯი
არ არის გაკითხვა არა აქვს. მეორეც ესა, რა-
კი თვალები ექნება, ვაი თუ ჩემი მარლობა
შეიტყოს, ან ჩემი შენახვა და მოგლა არ მო-
ეწონოს, და განებაროს; — რაკი ბრმა იქნება,
ვედარც ჩემს მარლობას შეიტყავს და, თუნ-
და შიმშილითა და სიცივით მოგვლა, ვედარც
გაგცევას მოახერხებს. თუ გამაძლარი და კარ-
გი მოვლილი შევინახე, მაშინ მოწყალეობას
აღარაინ მისცემს, ყველა იფიქრებს, ალბათ
შეძლება აქვს, რომ ასეთი მოვლილი და მა-
ძლარი დადიო.“

იფიქრა ასრე ზალაყინმა და კიდევ მოი-
ყვანა თავისი აზრი აღსრულებაში. იშვილა
უბატონოთა გაშვებული პაწაწა მეჭიანურე
და პატარა ხანს უკან ეს მეჭიანურე ორთავ
თვალთ დაბრმავებული, სინდლისაგან დამ-
სკდარის სიმბე — დაწყვეტილის ჭიანჭურით და-
დიოდა კარის კარსა, მდგოდა მარლი მეფან-
ტურის დაწყობილს ლექსებსა, რომლებშიაც
ისმოდა ამ გვარი ხმები:

„მაისის ღამეს ნახათა

მარდს დამდგოდა ბუღბუღი...!

ჰეი! ბუღბუღბუღი...!

ჰეი! ბატონებო გაიკითხეთ

მლახაკი დაბრმავებული...!

ტარანინა, ტარანინა!

ტარანინა, ნაა!

ბას აქვს ამ შკოლებზე ზედამხედველობა, მა-
გრამ ეს სრულებით არ უშლის თავისუფალი
და კარგო პირებისაგან გახსნილი შკოლების
გავრცელებას. ამ კერძო შკოლებს არ ეძ-
ლევათ მმართველობისაგან შეწყენა, მაგრამ
ყოველთვის შეუძლიან, თუ ისურვებენ და
ეცდებიან, მიიღონ მმართველობისაგან შეწყე-
ობა.

მართი წლის განმავლობაში შარშან მმარ-
თებლობამ მისცა შკოლებს 550, 829 გირ-
ვანქა სტერლინგი (ერთი ქირვანქა სტერ-
7 მანეთია); მშობლებისაგან შემოსულა მათი
შვილების სწავლებისათვის 508,772 გირ-
სტერ., და შემოაწირა მისაგანც შემოსულა
492,941 გირ. სტერ. მარდა ამისა ახალი შკო-
ლების გასამართავთ და სტიპენდიების დასა-
ნიშნავთ მოგროვდა ხელის მოწერით 173,089
გირ. სტერ. ეს ციფრები ყოველ წელს მა-
ტულობენ და ამ 1869 წლის დასაწყისში მა-
ინცა ძალიან ბევრი ფული შემოვიდა შკო-
ლებისათვის. წლის ანგარიშები შკოლების
ინსპექტორებისა გვარწმუნებენ, რომ ამ ბო-
ლოს დროს ხალხის განათლება ძალიან წინ
წავიდა.

„ჰაი, ჰაი, ჰაი, ჰაი! იი! იი! იი! იიიი!“

შაკიოდა გატარებული მეჭიანურე.

„მეჭიანურე ჩასწყურს დავთარშია

ქველა გლახის გამკითხვასა,

მიქელ მთავარ-ანგლოზი

წაყენებს უფლის კარსა.“

ან კიდევ ისმოდა:

„ზაზაზაზაზა იჭიჭიჭე,

მით ფრინველმა ველისამან...!

ქველა გლახის გამკითხველი

ღაღიღის მალმან ღვთისამან...“

იმდგომარა ამ გვართ ბრმა აშული, შოუ-
ლობა ამაში თითო-ორგოა გროშა და ამ-
გვართ ჰეცებადა თაი — აობილს მეფანტუ-
რისა.

რაკი ამ ქვეყანაში გიანი მოსაკრავე არ
იყო და გლახანი კი რავალნი იყვნენ, ამის-
გამო ვისაც კი საკრავი უფრო უყვარდა, ვი-
დრემ გლახაკი, და რაკი ბრმა აშული მეფან-
ტურეს შეილობილი ერთიც იყო და მეორე-
ცა, ამის გამო ამას უფრო ბევრს აძლევდნენ
და ბოლოს ისე შეეჩვივნენ ამასა, რომ, —
ბევრი საკრავისა და ამისთანა, გლახაკის მო-
ყვარენი — უკანასკნელს გროშს აძლევდნენ
ბრმა აშულსა, რაკი ამაზედ უკეთესი მოსაკ-
რავე და მეფანტურეზედ უკეთესი მოლექსე
არ იქნახათ..

ბოლოს ისე კარგათ წავიდა მეფანტურეს
საქმე, რომ თითონაც გასუქდა, სახლები და-
იღვა, სოფლები იყიდა და ამასთან ყვებიც
გაიჩინა, რომ ეგება თავადი ან აზნაური ვე-
გონო ხალხსა. მეჭიანურეს კი ატარებდა ტი-
ტულ შიშველსა და მთელი ღვე ცარილი
ნაცარკვერითა ჰეცებადა.

შიმშილისა და სიტუტელისაგან მეჭიანურე
პირველსავე წელს დამკლეს და ჩაეარა ქვე-
შავებათა; მაგრამ მეფანტურესაგან მაინც შე-
ბრალება არა ჰქონდა. „ახლა უფრო გაიკი-
თხანენ და ბევრს მოსცემენ“, ფიქრობდა ის;
ჩვენ ხალხს საკრავიც უყვარს და გლახაკიც
ებრალება. მხლა ორგვართ მოსცემენ ამასა.“

ისპანია.

მადრიდი 4 ივლისს. მოგვყავს ოფიციალუ-
რი „მადრიდის გაზეთიდან“ გენერალი პრი-
მის სიტყვა, რომელიც იმან სიტყვა 14-ს იე-
ნისს პარტესების სხდომაში.

„მე შემოძლიან პარტესები სრულებით და-
ვარწმუნო, რომ შრანციის მმართველობა ნი-
აღაგ სდენის იზაბელისა და ძარლო მე-VII
მოამხრეებს, რომლებიც ჩვენს საწინააღმდეგოთ
ჰყერენ პირობებს ისპანიის სამძღვრების ახ-
ლოს. ბევრი ხანი არ არის, რაც იმათი პრა-
ვიანტი, თოფ-იარაღი, ტანისამოსი და სხვა
საომარი ნივთები სახელმწიფოთ აწერეს და
წაართვეს. მართალია, თუმცა ისპანიის მმარ-
თებლობა არ აძლევს იმათს მოძრაობას დიდს
მნიშვნელობას, მაგრამ ფთხილათ კი არის,
და მალე მოვა ის დროც, როდესაც დამნა-
შავენი ჯეროვანათ დაისჯებიან.“

ამის შემდეგ პრიმმა სიტყვა: „თუმცა საი-
ნისტრო გამოიცალა, მაგრამ მმართველო-
ბას ფიქრათა არა აქვს თავისი პოლიტიკის
შეცვლა; ამიტომაც ახლა სხვა ახალს პრო-
გრამას ევრას გამოაცხადებთ. ღიდა ხანია

ეს სიტყვები ზალაყინისა გამართლდა: რა-
მდენიც უფრო ჩაეარა ქვეშავებათა და და-
კლეს ბრმა მეჭიანურე, იმდენს უფრო
აძლევდნენ მოწყალეობას.

ამ გვართ ისე გამდიდრდა ზალაყინ, ისე
გაკეთდა ისა, რომ კარგა ამპარტანებაც შე-
უვიდა თავში. — ზოგიერთა დიდებისაგან რომ
ვითხოვო მოწყალეობა ეგ სათაკლო არ არის,
რადგან იმათგან კიდევ გაიგო იმდენი, რომ
ლირს თხოვნათა, მაგრამ რათ უნდა ვითხო-
ლობდი მე სხვებისაგან! სიმღერა საჭიროა
ხალხისთვის, სიმღერას საკრავიც უნდა, — ჩემი
მეჭიანურეს გარდა სხვა მოსაკრავე არაინ
არის აქა. მაშასადამე ვალი აქეთ, რომ მოი-
ნენ მეჭიანურეს შესანახავთა და კიდევ იძ-
ლევიან... მქუთათ არაინ რას მოიცემა, მაშა-
სადამე ეყოფილვარ რამე, რომ ამ ჩემს ნაღ-
ვში ამდენს მაძლევენ და ყველგან ესრე
მაქებენ. მართალია, ზოგიერთა ლაწირაკები
დაცინიეთ თითოთ იჩენებიან და სულითა და
ჭკუით გლახას მეძახიან, მაგრამ ეს იმათ შუ-
რით მოსდით, და არც ეყურებთ ჩემი ფასი.
პი დარბაისელი ხალხი როგორ მაფასებს და
უკანასკნელ თავის გროშს მე მაძლევს; არა
უთუოთ დიდიენმე ვარ და მე აქამდინ არ
გამიგია. ხალხი ჰგონობს ჩემს სიდიდესა, მა-
გრამ ჩემი ნანდელი სახელის დიდება არ იცი-
ან და ისევ ზალაყინ მეფანტურეს მეძახიან.
არა, უნდა დავიქვა მე ამას იქით პოეტი ზა-
ლაყინ. ქველა წარჩინებულნი მცოდნენი პო-
ეტები ყოფილან; მაშასადამე — მეც პოეტი უნ-
და მერქვას; უთუოთ უნდა გამოუცხადო ყვე-
ლა ჩემს მიმადევრებს და მაქებრებს, რომ და-
მიძახონ ზალაყინ პოეტი და არა ზალაყინ
მეფანტურე!

ამ ფიქრების შემდეგ ზალაყინმა დაასწა-
ლა ბრმა მეჭიანურეს ლექსათ ყველა თავისი
მსმენელების მოწვევა და ერთს საღამოს შე-
იკრიბნენ ისინი ამისას, მოსამხენლოთ, თუ
რა უნდა ეთქვა ამათთვის ახალი, რომელიც
არ ითქმოდა ბრმა მეჭიანურეს ენითა.

— ბატონო და დიდებულნო! — დაიწყო

საქირო იყო, რომ სამინისტროში ყოფილიყო სამი უმთავრესი პარტიის წარმომადგენლები; მაგრამ დროებითი მართებლობისა და აღმასრულებელი უფლების დაწესების დროს ეს არ შეიძლება დასრულებულიყო. — შიშით ჯეროვანს ქებას უფ. ბერძენის და შიგვეროვას, რომლებმაც გამოაჩინეს იშვიათი პატიოსნება და გამოვიდნენ თავისით სამინისტროდან; ძნელი საპოვნელია ამ გვარი მაღალ აზროვნანი კაცები, რომლებიც ამასთან გრძნობდნენ თვის ღირსებას ასე ცხადით. მსევე უნდა ვთქვათ უფ. ლორენცანაზე, მორტიტზე და პილაზე, რომლებიც უფრო უწინ გავიდნენ სამინისტროდან. — მართებლობა ეცდებოდა დაიცვას კონსტიტუცია და ყველას პატივი აცემინოს იმისთვის; ის დაიფარავს ყველაფერს, რაც კი შეეხება საზოგადოების რიგსა და სიმშვიდეს; გარდა ამისა მმართველობა ევალდებულებოდა დაიცვას ყველა, რაცა ჩვენ მოვიპოვეთ იმოდენის შრომით და შიშით.

იმვე სხდომაში გენერალმა პრიმა სიტყვა სიტყვა, პასუხად რესპუბლიკელების დებუტატის შიგვეროვას:

„მე არას დროს არ ვიქნები წინააღმდეგი რესპუბლიკური პარტიის წევრებისა, პირველათ იმიტომ რომ არ იქნებოდა სიმართლე და მეორეთ იმიტომაც რომ პატივცემული წევრები ამ პარტიისა ყველა თავიანთ მოქმედებაში იყვნენ ნამდვილი მომხრენი სექტემბრის რევოლუციისა. ამ გვარ მეგობრებთან კავშირის გაწყვეტა არ შეიძლება; ამასვე როგორც უნდა ისე იფიქროს უფ. შიგვეროვასა“.

მადრიდი, ივლისის 10-ს, ღონ-ძარ-ლოსის შემოსვლა მართლდება ოფიციალურის ცნობებით, პატალონიის ქალაქებში ჰსჩანს დიდი არეულობა; ბესარიდან და ალკანტარიდან გაგზავნეს რამდენიმე ბატალიონი.

ზალაყინმა, — დღეს ის დღე გახლავთ, როდესაც უნდა აიხსნას ის საიჭო საიდუმლოებანი, რომელიც სხვა და სხვა უმეცრებათა გამო შთათესილა ჩემსა და ჩვენს ხალხთა შორის, რომლისაც ხელმძღვანელობა მოუწოდებდა ჩემთვის მანგებასა უძლეველისასა და რომლისა სწორე გზაზედ ტარება არის ჩემი ღვთიური და აუცილებელი ვალი. ამის გამო საქიროთა ვრაცს განვმარტო და ავხსნა იგი საიჭო საიდუმლოებანი.

ხალხი მოწოდებით წარმოსდგა ფეხზედ, რაკი გაიგონა ამ გვარი მჭევრ-მეტყველება აქამდისინ ამთვან ღირსეულათ დაუფასებელი მეფანტურისი.

— მე დღეს აქამოდე ხალხი რალაქა მიუხევედრელის უმეცრებისა გამო მიწოდებს მეფანტურეთ. მე არ ვამტყუნებ ხალხსა, რადგან იმთ მეფანტურეთა გარდა სხვა მომღერალი არ უნახავთ. მე ვარ პოეტი და არა მეფანტურე! მეფანტურეთა და პოეტებთ შორის არის დიდი განსხვავება: პოეტი ეთქმის კაცსა იმას, რომელიც არის შემკული ყოვლითა ცნობიერითა და უცნობიოთა, იღუმალითა და საიდუმლოთა კანონითა ღმრთისათა და რომელიც ყოველსავე მეცნიერებასა ქმნილ იქმს ღმრთის განწყობილისა სიტყვებითა. ჩვენ დღეს აქამოდე არა გვყოლია პოეტი, რუსთველი, რომლისაც სახელი ასე გათქმულია ჩვენს მამულში, მართო რუსთველი იყო პოეტი; მაგრამ რუსთველიან ვერ აღაშაფა იქამდინ სახელი ქართველთა, რომლამდინაც მე ვიღვწი ჩემის ყოვლის გინიოსურის ნიჭიერებითა, რათა დავანახო ქვეყანას, რომ ქართველნი არ არიან არავისზედ ნაკლებნი და ჰყვანან იმასაც იმისთანა პოეტნი, რომელსაც უნდა უყურებდნენ შუროთ წარჩინებულნი პოეტნი სხვათა ძველთა და ახალთა ხალხებთა. ამისგამო გიცხადებთ, რომ მე ვარ პოეტი და დღეს ამას იქით უნდა მეწოდოს ზალაყინ პოეტი და არა ზალაყინ მეფანტურე. — მრავალნი იგი საიდუმლონი, რომელნიცა მე აღმიხსენის და რომელთაცა

ნებრ. პრემს უნდა თითონ გაუძღვეს ჯარს ჩრდილოეთის პროვინციებში, თუ საქიროება მოითხოვს. — აქ კიდევ დაატუსაღეს რამდენიმე კარლისტების აგენტები; იმათ რიცხვში ერთი მღვდელიც არა; ამ ცოტა ხანში დატუსაღებული ღვთაებები და პოლიტიკიკები გაგზავნეს ძანარის კუნძულებზე. —

გერმანია.

ბერლინი, 19 ივლისს. ამ ახლო ხანში რეისტაგმა გამოაცხადა კანონი, რომლითაც დაწესდა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების თანასწორობა სხვა და სხვა სარწმუნოების პირებისათვის. ამ კანონს მიეცემა ძალა 23 ივლისიდან. — სახალხო განათლების მინისტრმა მიულერმა წარუდგინა პრუსიის კოროლს ანგარიში სასოფლო სასწავლებლების მდგომარეობისა და იმ ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა პრუსიაში ამ უკანასკნელ დროში.

დუსელდორფი, 17 ივლისს. აქაურ სასამართლოში არის დღეს განხილვა ზოლდახის არეულობის საქმისა; ამ არეულობაში სხვათა შორის მიუღია მონაწილეობა ერთს რეისტაგის დებუტატსა — მენდეს. აი რას ამბობს ამ საქმეზე „დუსელდორფის გაზეთი“: „მოწმების ნაჩვენებებიდან სჩანს, რომ არეულობის თავი ყოფილა დებუტატი მენდე; ამას ულამაზესად მუშა-ხალხისთვის, რომ მოვა დრო სოციალური (საერო) რევოლუციისა, რომელიც გასრულდეს სუყველაფერს, რაც წინაუდგება იმას, თუ სოციალური საქმეები არ გარდასწყვიტეს ძალა დაუტანებლათაო. მენდეს ულამაზესად აგრეთვე მუშების მშვიერ კუჭზე, იმ უსაძარტოლებზე, რომელსაც ითმენენ მუშები კაპიტალისტებისაგან და ერთობ დიდს ხარჯზედ, რომლის დამნაშავენი — სამხედრონი — დასაჯიანდნენ ბერლინის ქუჩებშიო.“

მე ვამზადებ ღმრთის ჩემი მექიანურის დასასწავლებლათ, მე მამღვევენ სრულს უფლებას, რომ ვიწოდებოდე პოეტათ. ზრუნვა ჩემი მამულისთვის და თავგადადებითი დაუცხრომელი შრომა მის დღევანდელობისა და სიკეთისათვის დაფასდება მხოლოდ შთამაშელობისაგან. წაკითხვათ ესლა ჩემს ახალს გამოცეცას, რომელსაც ვამზადებ შემდეგისათვის ღმრთის და რომელმან უნდა მიიყვანოს ყველა მეცნიერნი თვით საბერძნეთისანი განცვიფრებაში. — აქ ამოიღო ზალაყინმა რეგული და იყო კითხვა.

ჩემი ახალი ტალანტის ძალით გამოვიცვლიე და ვბოვებ, რომ არ არის საქირო ჩვენთვის არა ვითარე მეროპიული მეცნიერებანი, რომელთაც გაგება ჩვენთვის სრულებით შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც ვართ სხვა ბუნების შეიღნი და სტომაქი ჩვენი მოითხოვს სრულებით სხვა საზრდოსა. ღვინო არის პირველი ჩვენი საზრუნელი. მე იმ აზრზედა ვდგევარ, რასაც ამბობს ძანოსორო ფრიად მეცნიერისა და მეცნიერთ მეცნიერი გრაფ სალაგუბი სამეცნიერო პიესაში, რომ ქვეყანა რომ შიცივლოს, ქართველებმა ღვინო არ უნდა დასტოვონო. ღვინო არის პირველი პოეზია; უბოვნიოთ ქვეყანა არ ივარგებს. ღვინო არის პირველი მომნიჭებელი ზეგარდამო შთაგონებისა და პირველი მემუშაიფე მუშათა. —

თქვენ უწყით, ყოველნი აქა მსუფუნო, დიდებულნი და დარბაისელნი, რომ რაც საქართველოს მოვიდნა მოუწოდებელი სუნი დასავლეთისა, მას აქეთ დაბრუნდა ჩვენი ბედის ჩაღბი უკუღმა და ბოლოს ხომ სულ დავიღუბნით ასე ყურძნის დასწეულებითა, რომლისაც წამლობა ვერ მოაგვარა ვერა ძემა ადამისა. რამდენიც ხანი გადის, იმდენი ურძენი უფრო სწეულდება, და ბოლოს საფიქრელია, რომ მტილნი ჩვენი მოგვიყვებენ ნაყოფიერებასა და ნეტარსა იერიქონისასა და ჩვენ დაერჩებით უღვინოთ.

რათა განვარიო შთამომავლობა ამა დიდსა და საზარელსა დამამხობელსა ჩვენსა უბე-

დნარჩენ 28 ბრალეულებში სამნი აღმოჩნდნენ დანაშაულნი არეულობის მოხდენაში. მოსამართლეები, ერთი საათის რჩევის შემდეგ, გამოვიდნენ და გამოაცხადეს თავის განაჩენი, რომლითაც დებუტატი მენდე აღიარეს დამნაშავეთ საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევაში და გადაუწყვიტეს ერთი წლის სატუსალოში დამწყვედვა. სხვა სამი დამნაშავე სამი თვის ვადით ჩასვეს სატუსალოში; დანარჩენი 25 კაცი გაამართლეს.

სამხრეთი.

ბელგრადი, 2 ივლისს. დღეს სკუპს-ჩინის დათხოვების დროს წაიკითხეს შემდეგი მიწერილობა სენატარებისა: „ჩვენმა სამთავრომ ესლა დაბოლოვა თავის თავისუფლების საქმე; იმან დაადგინა თავისთვის კონსტიტუცია, რომელიც, თუმცა ბევრს არაფერს გვაძლევს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას ჩვენთვის, რადგან ჩვენ და ჩვენთვისვე დაეწესეთ ის და რადგან იქმნება საძირკველი ჩვენი მომავალი პოლიტიკური ცხოვრებისა. — ამას გარდა კონსტიტუცია აწესებს ყოველი მოქალაქის პიროვნებით თავისუფლებას და იმათ უფლებების დაცვას; ერთი სიტყვით კონსტიტუცია გვაძლევს ჩვენ საზოგადო და ნამდვილი წარმატების იმედსა. — სამოქალაქო თავისუფლება ახსნილია და დაწესებულია კონსტიტუციაში ისე ნათლად, რომ იმის დარღვევა შესაძლებელი არ არის.“

ჩვენი სახელმწიფო შეიქმნება დღეს შემდეგ სიმართლესზე დაფუძნებულ სახელმწიფო.

პეკლაზე უმთავრესი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ გარჩეულია უფლებები და მოქმედების წრე კანონმდებლობისა, რომელიც მინდობილი აქვს მთავარსა და ხალხის

დურებასა, მე ყოველი ჩემი გენიოსურნი ძალანი ჰკუთსანი, პოეტიკურნი თუ ესტეტიკურნი, მივაყარ ღრმით მიხეზთა ამა დამამხობელის ყურძნის სწეულობისათა და ვბოვებ შემდეგი შეურყეველი ქეშმარიტება. აი რისგან წარმოსდგება ეს უბედური სწეულება: ყოველი კაცი დამერწმუნება, რომ ამ ჩვენს დროებაში ძალიან გამაიღდა ხალხიც და საქონელიცა და ამასთან ყრველგვარი პირუტყვი, რომელთა ქმნამან ცეცხლებრივ ცხოველმან ძრიელ შეაწუხა ელექტორი ცისა; ამასთანავე ამათის საქიროებისთვის ანთებულმა და ბუნებითმა მგზნებარებან ცეცხლიან მათის კორიანტლურის ბოლით მთლად ცეცხლი მოუღო ელექტორსა ცისასა. მგრეთვე ამ ჩვენი დროების განათლების ნიშნის საგანმა — სიფარამ და პაპიროსმა არ დააყარა კეთილი ცის სიკვოვლეს — ელექტორსა. — რასაკვირველია გახურებულმა ელექტორმა ძლიერ გააფიცა სხივნი მზისანი, რომელთაც ახლა ძალა მიიტანეს მკენეს ზღვაზედ, რომლისგამოც მკიანამაც დაიწყო ორთქლის აწევა ჰაერში, რომელიც დღემდინ არ უქნია იმას, რადგანაც მზეს არ ჰქონდა აქამდინ ის ძალა, რომ გახურებინა დასრულებელნი კიდენი მკიანოსანი. თქვენ ყოველთა კარგა უწყით, დიდებულნი და ხარისხოვანნი, ვითარცა განათლებულთა, რომ წვიმა შესდგება ზღვისა ომხივრისაგან, რომელიც ცის სიღრმეში იქცევა ღრუბლათ, და წვიმა ესე აძლევს ქვეყანას ნაყოფიერებასა. რადგანაც ზღვანი და ტბანი არიან მლაშენი, ამისგამო ომხივარიცა მათი არის უფრო ფრიად მლაშე, ვინაიდან მხოლოდ სიმლაშევე ადის ომხივრათა და წყალი ისევე ისე ჩიება. — რადგან, როგორც წელან მოგახსენეთ, ესლანდელი წვიმანი არიან შემდგარნი მკიანოს ომხივრებთაგან, ამისგამო წვიმაც თვით მტუტეზედ უფრო უმლაშესი არის. ამასთან გახურებული ცისა ელექტორი შეზავებულს ღრუბელში აშრობს სხვა ომხივრის სინოტიესა და შიგნა წვიმაში მხოლოდ ნაცარ-მტუტე მარილოვანი; და რაკი

წარმომადგენლებს; ეს კანონმდებლობისა და კანონმდებლობის კრებათ. სკუპსჩინა იკრიფებოდა აქამდინ სამს წელიწადში ერთხელ შემდეგში კი ამას ყოველს წელიწადს ექმნება სხდომები. ღმრთი სკუპსჩინას შეეძლო მართო გამოცხადებინა რაიმე თავის სურვილი და დაეწყო ჩივილი; შემდეგში კი იმას ექმნება ხმა კანონმდებლობაში და გავლენა სერბიელების სევეზედ; მთავარს არ შეუძლია არც გამოცემა, არც შეცვლა და არც განმარტება კანონებისა სკუპსჩინის ნებადურთველად.

ხალხი რომ გაიცნობს ამ ახალ კანონმდებლობის: ეს დღე — ჩვენთვის საღმრთო დღე არის; ამას იქით არაფერი, რაც ჩვენ შეგვეხება, უჩვენოთ არ გარდასწყდებოდა.

ბევრი ერთ მართადა ხოლმე ხშირათ თავის მმართველობასთან ომებს იმისთვის, რომ მოეპოვებინათ თავისუფლება; ჩვენ კი, ღვთის მაღლით, მოვანერხეთ ამ საქმის ასრულება ერთმანეთის დათანხმებით. — ჩვენ არ გავმოგვიღია მართებლობის ფორმა სხვა ხალხებთან; ჩვენ თითონვე გარდავაკეთეთ ჩვენი დაწესებები ისე, როგორც საქირო იყო.

ჩვენ მჭიდროდ უნდა დავადგეთ კონსტიტუციის გზას; მაგრამ ისიც უნდა გავხსოვდეს, რომ როგორც ცხოვრება და ჩვეულებები იცვლება, ისეც კონსტიტუციური დაწესებებიც უნდა გამოიცვალოს.

სერბიის ხალხმა ბევრჯელ დამტკიცა გაქირების დროს, რომ უყვარს თავისუფლება; ეცადეთ, რომ მომავალში თავისუფლება დროიანობა შევეერთოთ ერთათ, რადგანაც მართა ამ ნაირათ შეიძლება ხალხის წარმატება და კეთილდღეობა.

შემართებელსი სენატი აცხადებს, რომ სკუპსჩინა დაიხურა. — მამოთხოვების დროს

ეს წვიმა დადინება ყურძნისა, ეფინება მანარის მსგავსათ და უნდებო იმ სწეულებათ, რომელიც გვემუქრის ჩვენ საუკუნით უღვინოთ დაგდებასა.

— აი, ბატონებო, ეს გახლავთ ის ჩემი გამოკლევა, რომლითაც უნდა გამოვიხსნათ და დავიცვათ ქვეყანა ჩვენი იმ უბედურებისაგან, რომელიც მოვლის იმას ყურძნის სწეულებისაგან. მსე და მრავალნი ამგვარნი მიზნები მრავალთა ჩვენთა ბუნებითა უბედურებათა, მაქვს გამოკლეველი და კიდევს მიმიპყრია გამოსაკვლიათ ყოველი გონის ჩემი, და ამგვართ ვიშვრი ქვეყნის სასარგებლოთ; ყოველთა ამგვართ გამოკლეველთა მე შევაზავებ ღმრთის და დასასწავლობოსა მეჭიანურეს და ვამღერებ საქვეყნოთ რომ ყველას მიუწოდეს ესე საქიროვლნი გამოკლევენი, რომლისაც მსგავსი არა გამოუკლევიარა ამა საუკუნესა. მიღწეი და ღვაწლსა ჩემსა არ აფასებენ უბადურნი მემამულენ ჩემნი და მრავალნი დაცინით და გ-კიცხით ერეკებიან სახლიდამ უბედურსა მეჭიანურეს ჩემსა. მს გახლდათ ბატონებო მიზნები ჩვენთ თქვენის გასახისა და ამითი ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ჩემებრ გეწიოსსა არ უნდა ეწოდებოდეს მეფანტურე და უნდა ამპარტანებით მემამულენი უწოდებდნენ პოეტსა. დღეს ამას იქით სახელი ჩემი ზალაყინ პოეტი.

ამითი დაასრულა ზალაყინმა თავისი ბასს თავის მსმენელებთან, და მსმენელებიცა გაოცებულნი ამგვარის მაღალ ნიჭიერებით და ღრმა მეცნიერებითა ზალაყინ მეფანტურისა დაიშალნენ ამპარტანის ფიქრით, რომ ამათ ჰყავთ ამისთანა გენიოსი პოეტი და ამასთან ღრმით ბუნების გამამაკვლეველი მეცნიერი რომელიც მეცნიერებას ღმრთისათა აქცევდა.

სცხოვრებდა ამგვართ ზალაყინ მეფანტურე, რომელსაც აწი უწოდებდნენ ზალაყინ პოეტათ, იმატებდა სახელსა და საზრდოსა და თან-და-თან მოჰყვანდა სისრულეში თვის ნიჭიერებანი და ღმრთის მისნი და ჰგლო-



ჩვენ დავიყვარებთ: „გაუმარჯოს ჩვენს მთავარს!“

ხელ მოწერილია: ბლაზნოვაც, რისტიჩ, გავრილოვიჩ.

შპანია.

პარიჟი, 8 ივლისი. „მედიცინალურ ჟურნალში“ სწერია, რომ 7-ს ივლ. დაუფიცნიათ ახალ მინისტრებს სან-პლუსი; ამ დროს იმპერატორი ნაპოლეონი იქ დასწრე-ბია.

პარიჟი. ზაფხულში „Patrie“ გამოცხადებულია იმპერატორი ნაპოლეონის წიგნი რუსეთს, რომელიც დიდი ხანი არ არის დაი-თხოვეს პანონმდებელი პალატის პრეზიდენ-ტობდგან: „ძვირფასო უ. რუე! ამასთანავე გიგზავნით დეკრეტებს, რომლებიც თქვენ უნდა გამოაცხადოთ (პარპუსში). უ. შენიდე-რმა წარმომადგენა მე ისეთი საფუძვლები პანონმდებელი პარპუსის უფალოთ დახურე-სთენ, რომ მე დავეთანხმე იმას. — ღარწმუნე-ბული იყავით, ჩემო ძვირფასო რუე, რომ ძა-ლიან მწყინს, რომ უნდა მოგიშორო თავი-დან, მაგრამ ჩემს ძველ მეგობრობაში ეჭვი ნუ გექნებათ.“

პარიჟი. „Literte-ში“ არის დამეჭვლილი ახალი მინისტრების ბიოგრაფიული ცნობები: დუევიერჟი — იუსტიციისა და საეკლესიო საქმეების მინისტრი — იყო უწინ გამოჩენილი ადვოკატი პარიჟში; იმის იურიდიულ თხზუ-ლებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლაც; იმის აზრებს თავის დროზე ჰქონდა დიდი გავ-ლენა პარიჟის ადვოკატებზე. 1855 წ. დიუ-ერჟი მიატოვა ადვოკატობა და შევიდა სა-ხელმწიფო რჩევაში შინაგანი საქმეების გან-ყოფილობის პრეზიდენტად. — ის დაიბადა 1792 წ., ასე რომ ეხლა კარგი მოხუცებული

კაცია. — ალფრედ ლერუ ეხლა მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტრი, 1852 წლამდე იყო ერთი ბანკის დირექტორად. 1852 წ. ის გამო-ჩნია მანდემი (მასრა) თავის წარმომადგენლად (დეპუტატად) პანონმდებელ პალატაში, სადაც მმართველობის მხარე ეჭირა; პალატაში ის ყოველთვის ფინანსებზე ლაპარაკობდა და, როგორც ამბობენ, ამ საქმეში ძალიან განვი-თარებული არის. 1863 წ. ლერუ გამოირჩიეს პანონმდებელი პალატის ვიცე-პრეზიდენტად და აქამდე სულ ამ თანამდებობას ასრულებ-და. — ბუ რ ბო — სახლხო განათლების მინი-სტრი — 1848 წ. — რესპუბლიკის დროს იყო დეპუტატად მაშინდელ პანონმდებელ პრეზი-დენტში. როცა მეორე იმპერია დაწესდა (2 დეკ. 1851 წ. — ამ ნაპოლეონმა რომ ტახტი დაიკრა), ის დაბრუნდა ქ. პუატიეში და იქ იყო ქალა-ქის მერად. დე-ლ ატურ დოვერ — გა-რემე საქმეების მინისტრი — ერთი გამოჩენილი ოჯახის შვილია; თავის სიცოცხლე იმას დი-პლომატებთან გაუტარებია, მაგრამ არასოდეს არც ერთს პოლიტიკურ მოძრაობაში იმას მონაწილეობა არ მიუღია. უკანასკნელ დრო-მდე დოვერ იყო ლონდონში შპანციის ელჩად. — ბრაფი პარპუსი შპანულ-ლო-ბა ეხლა სახელმწიფო პრეზიდენტი 1848 წ. იყო ხალხის წარმომადგენელი პა-ნონმდებელ პრეზიუმში; დეკემბრის რევოლუ-ციის შემდეგ 1859 წლამდე ის იყო დეპუტა-ტად პანონმდებელ პარპუსში. მერე შპანულ-ლობა იყო პლემორის მინისტრად, ზღვის მი-ნისტრად, სენატორად და ეხლა სახელმწიფო პრეზიდენტი; თუმცა ის თითქმის სამო-ცდა ხუთი წლის კაცია, მაგრამ ჯერ ძალიან მარჯვეთ არის და შრომაც უყვარს.

ლალია და მუდამ მწყალობელმა ჩემმა მეზა-მან.

— რა იყო, უფალო გენიოსო, რითი შე-გარისხე და გაგამწარე აგრე უწყალოთა?

— ისეთი ზეგარდმო შთაგონება მომივი-და, ისეთი ძალა მუხისა, — რომელსაც აგრე ოცდა ათი წელიწადი ეგმასურებოდა, — რომ გენიოსი რომაელთა და ბერძენთა: ლარდ-მორდონ ბაიონი, შექსპირი და ლანტი ვერ დაჰმადებდნენ იმ გვარს გენიოსურსა, რომე-ლიც გამოვიდა და დღეს ჩემს კალმადამ, თუ შენ არ დაგეფთხო ჩემთვის იგი ზეციურნი მო-ნიჭებანი. დღეს შენ დალუჟე საქართველო, რომ მოაკლ იმის სახელ განთქმულს პოეტს ზალაყინს ის ზეგარდმო შთაგონებდა, რომელიც აწვია იმის დიდის ხნის ერთგულმა მუხამ. უშენოდ საქართველოს დაუწყებდნენ შურით ცქერას ტირილი და ნინევილი, რომელთა დიდება ასე სახელოვანად არის მო-გვნილი პირსა ყოვლისა ქვეყნისა, და რომელიც ყოვლისა ღონისძიებით ცდილობენ, რომ პოეტი ქართველთა ზალაყინ არ შეიქ-ნეს ისეთი სახელოვანი, რომ არ დაბნელოს ისე მალათ მდგომი სახელი მათი. აი რა უყუე დღეს შენ საქართველოს იმითი, რომ არ დაეცა, რათა ზეგარდმო შთაგონება დამეიდრებოდა გულსა პოეტისასა.

— ბატონო პოეტი, — მოახსენა დოქტორ-მა გავაცხადე, რომ ნახა ამისთანა მუხე-ბის საყვარელი პოეტი: — ბაიონი, შექსპირი და ლანტი რომ ბერძენი და რომაელი არ იყვნენ, რატომ შეგცდათ თქვენ აგრე სიტუ-ვაშია?

— წმინდა რომაელი და ბერძენი იყ-ნენ! ბოკლი ბერძენი იყო, ჰომაროსი. სულელა წარჩინებული პოეტნი სულ ბერ-ძენი და რომაელი იყვნენ.

— მს ტირი და ნინევი რომ ბრძანეთ, ის როგორა მოგივიდათ? მოგახსენებენ ის-ტორიკოსნი, რომ იმათი ნატამალიც აღარ არისო და თვით გიოგრაფიაც აღარ იჩვენებ-ამ ქალაქებსა.

— არის, მეთქი! თქვენი ახალი მწერალ-ნი რომ აღარა ხმარობენ და არ აჩენენ, გე-იმიტომ ჩადან, რომ ყველა, რაც ძველი და ჩინებულია, უნდათ რომ აღარ იყოს. თქვენ ახალთ მწერალთ რომ გკითხობ, ზალაყინ პოეტიც არ არის ქვეყანაზე და მეფანტუ-რეს მეფანია, და ის კი არ იციან უფუნურ-თა და უფუნურთ უფუნურთა, რომ სახელი ჩემი დარჩება შთამამელობისათვის განუღრ-ველად; გავა მრავალი საუკუნენი და ჩვენნი მომავალი გავცხადებთ შემოხვედამენ იმ საუ-კუნესა, რომელმაც დაჰმად იმისთანა საოცრე-ბა ყოველი საუკუნეთა, და ყოველს ზალა-ყან პოეტის მოგონებაზე დაფიქრებით იტუ-

ჩინეთი.

შანხაი, 8 მაისი. შანხაიდგან იწერე-ბიან „შრანსუელ ოფიციალურ ჟურნალში“, რომ ჩაით დატვირთული ხომალდები გამო-ვიდნენ აქედან მეროპისაკენ გასაგზავრე-ბლათო. ჩაის მოსავალი წელს უფრო მომა-ტებული ყოფილა იქ, ვიდრე წარსულ წლე-ბში; მარტო ანგლიაში გაუგზავნიან 140 მი-ლიონი გირვანქა ჩაი (23 მილიონის) ამ უკანასკნელისამი წლის განმავლობაში. — თუ-მც ამბობენ, რომ წელს გაუტანათ აქედან სამხედროს გარეთ 60,000 ტომარა აბრე-შუმიო, მაგრამ აბრეშუმის მოსავალი მაინც ვერ იყო კარგი; შარშან კი მარტო ანგლი-აში გაგზავნეს ჩინეთიდან 50,000 ტომარა აბრეშუმის, მარტო შარშან 20,000. — თუმც საზოგადოთ ჩინეთს იმისთანა ეპრობა არა აქვს გამართული სხვა ხალხებთან, როგორც მაგრამ მაინც ეტყობა, რომ ამ საქმეში ის თან-და-თან წარმატებაში მიდის; წელს მარ-ტო შანხაიდგან (უმთავრესი ჩინეთის პორტი) გაიტანეს 320 მილიონის სხვა და სხვა სა-ქონელი. შარშან შან-პონგდგან გაიტანეს 56 მილიონის ბანგი (ოპიუმი).

მომავალში, თუ მეროპის ეპრობა მიეცათ ნება შუაგული ჩინეთის ადგილებთან მისელა-მოსვლისა და ეპრობის გამართვისა, უმჯე-ლია ამით ბევრს ისარგებლებენ ორივენი — მეროპიელებიცა და ჩინელებიც.

ტელეგრაფები

(პეტერბურგში მიღებული)

პარიჟი, ივლისის 12-ს (24). შინა-ლამეს აქ მოხდა არეულობა პარმელიტე-

ვიან: დავიჯერო იყო როდისმე იგი საუკუ-ნე, რომელსაც შეეძლო ამ გვარი კაცის და-ბადება. როდესაც გარკვევით გამოცნობს და ასწონს ჩემთა დეალოთა, მაშინ ვითარცა ბრუტს, დამიღვანე მე, საუკუნეთა და შთა-მამავალთა საცნობელად, ძველსა, რომელზე-დაც დააწერენ: ეს იყო კაცო.

— ბატონო დილო და სახელოვანო, სა-უკუნეთა გასაოცებელი პოეტი! არ ვიცი სხვები როგორ გიცნობენ და მე კი სრულე-ბით თანხა ვარ, რომ თქვენს საფლავზედ, თქვენი დეალოების შემდგომ, საცნობელად შთამამელობისა, რომ იგი არ იყოს იქვე ამაზედ, ჩვენი ვილია, რომ დადგათ ძველი მაგ გვარის წარწერით: „აქა მარხია ზალაყან პოეტი, რომელიც იყო კაცი.“

— ჰოი, თანამედროვენი და ახალნი! თქვენ იცნობთ ჩემს ფასსა, მაგრამ გვიანა. ბენიოს-ნი აგრე ადვილათ არა ფასდებიან...

— ღვანებოთ თავი ფასსა, — გააწყვეტინა ექიმმა: და ახლა ეთქვით რამე იმ საქმეზედ, რისთვისაც მომიწევით მე.

— დავიჯერო, სიტყვა ზალაყინმა ცოტა დამეიდრებოდა: — შენ გენლობი, რათა შენ გიცნე იგი მე ვინცა ვარ. აბა მიბრძანეთ, რა ეწამლება ჩემს ავთოგრაფსა?

— თქვენი ავთოგრაფი არის მჭლევი. იმას უნდა ღია ჰყრი, სითარხე, მსუბუქი და ნო-ყიერი შემოგო სიტყვით, თბილი სახლი, სუფ-თა და თბილი-ტანისამოსი, ტანის სისუფთა-ვე, სულის სიმშვიდე და კარგი მომელოები.

— არა, მეთქი: მე ბოლომდე მივიტარე. ის უფრო შემოგო. რასაც შენ ამბობ ეგე-ნი ყველაფერი აწყენს იმასა, გე მაგისთანა-ებს დაჩეულები არ არის.

— შამისოთ ავთოგრაფი უეჭველათ მოკე-დება.

— მაშ არცაა შენა გცოდნია! დეე იყვეს ავთოგრაფი ისევე ჩემს ამაო. მე მაგას ბოლ-ლოწოთი და მახოხით მალე მოვარჩენ. აქამ-დინ არ ვფიქრებ, თორემ აქამდინაც მოვარჩე-ნილი მიყოლებოდა. მშვიდობით.

— მიხატის ფული?

— რა ვიზიტის ფული?

— რომ დამხიარე და მოვიდე.

— ახა, ღმერთო ჩემო! ხომ არ გიწამლია,

რამე უნდა მოგცე?

— ზასამელოში.

— არა მაქვს, ღმერთოა მოწამე.

— მაშ რათ მიბარებდ?

— მჯახი ამომიწოდეს, თუ გროში მქონ-

დეს.

— მე წინათვე უნდა გეფიქრა.

— მართი კვირაა მეთქი, ჩემს პირში ნაწი-

ლი არ ჩასულა. სოლმელი სოფელში გა-

ვისტუმრე, რომ ეგება ამით მხალით მაინც

ბის მონასტრში, რომლის სენაკიდანაც იქვე უშვა სასამართლოსაგან დანიშნულმა კარმა-სიამ ერთი მოლოზანი. მს მოლოზანი იყო აქ დატუსალებული ოცი წელიწადი. ხალხმა გასტეხა მონასტრის კარები და ფანჯრები ქვეთ ჩამასხრიდა. მერე მოვიდა ჯარი და გა-ყარა ხალხი.

სხვა და სხვა ამბავი.

დიდი ხანი არ არის რაც გახსნეს პეტერ-ბურგში საღამოს შკოლა მოზილილი მუშა-კაცებისათვის. პირველათ ამ შკოლაში სწავლობდა თორმეტი კაცი; იმათ შორის ოთხი ქალი იყო: ორი მზარეული და ორი მკერვალი. დანარჩენ რვა კაცში სამი ეპარი ერია, სამი მოხელე კაცები და ორი ოდბაში. ამ სასწავლებელში, როგორც ზევით ვთქვით, სულ მოზილილები იყვნენ, ასე რომ 4 კაცი 23 წლისა იყო, 3—30 წლისა, 3—40 წლ. და სხვა ორი 45 წლისა. — ჩამდენიმე თვის განმავლობაში ამათ ჩინებულათ ისწავლეს წერა-კითხვა და რიცხვი და შემდეგ ისინი და-ითხოვეს; ეხლა იმათ მაგივრათ სხვებს იღებენ შკოლაში და იმათაც ისე ასწავლიან და მერე გაუშვებენ. — რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მდ-ბიო ხალხს, რომელსაც უმაღლესი სწავლის მიღება ძნელათ შეუძლია სიღარიბისაგან, წერა-კითხვის სწავლაც დიდს სარგებლობას მოუტანს, ნამეტურ თუ ამ სწავლის მიღები-სთვის იმას არც ბევრი დრო ეკარგება და არც ფული. ზემოხსენებულ შკოლაში ასწა-ვლიან საღამოს შვიდი საათიდან ვიდრე ცხრა-მდე. — ამას გარდა ეს მაგალითი გვიმტკიცებს ჩვენ იმას, რომ სწავლა ყოველთვის შეუძლია მიიღოს კაცმა; ჩვენ ხშირათ გავიგონია ჯერ

გამოიკვებონ მეთქი თავი.

— შული არა მაქვსო, და თქვენ სოფე-ლიცა გქონათ.

— მჯახი ამომიწოდეს, თუ ჩემი იყვეს.

— როგორ — არა, თქვენ ის სოფელი მე-ქიანურესაგან არ შეიძინეთ.

— სახლ-კარი დამეცეს, თუ იქ მხალის მეთქი რამ მოდიოდეს.

— მე არ ვიცი, მე ჩემი უნდა მომეცეს.

— ბატონო დოქტორო! შეიბრალებ ჩემი ცოლშვილი! ღმერთი გადღეგრძელებს. ხო იცით რომ მეც სხვის მოწყალებით გამოე-დიარ. მართი წელიწადი სულ უმაროლო სა-ქმელსა ეკმა, ოღონდ ეგ ერთი მაპატიე, და ამას იქით თუ შენი შეწყუბება და გაგებდო, თავზედ ლაფი დამახსი, ვირხედ შემსვი და ისე ჩამატარე ჩორჩო ბაზარში.

— დოქტორი გამობრუნდა და წამოვიდა.

ზალაყინმა დაუწყო წამლობა ბრმა მექია-ნურს თავისებურათ. ბოლომდე წამლობა და მახო-მა უფრო აწყენს ავთოგრაფსა და შემდეგ მრავალის ტანჯვისა მიხარა იმან ღმერთს სულთ.

დაწვა ზალაყინს დიდი სევდა გულსა და მოსთქვამდა ყოველ დღე თავისი გაზდილის დაკარგვასა „ვიღამ უნდა შემიძნოს მე ამ სი-ბერის დროსა, ვილა ჩამოჰყარეს სიმეზღედ ჩემს სახელს და ვილა მოჰყენს ჩემს დიდებას ჩე-ნი ქვეყნის პირზედა.“ სტიროდა ცხარის ცრე-მლით ზალაყინ და იმდენი იტირა, რომ ბე-რის ტირილით ორთაგ თვალით დაბრძანდა.

გავიდა ხანი და ზალაყინ თავისის დაწვლ-რეულის ფანტურით დადიოდა კარის კარს და დამღეროდა.

მეტადრე ზალაყინ ხშირათ უკრავდა თავის ფანტურას ერთი ყადის კარებზედ, ყადს თუმ-ცა არ ესმოდა ამ ფანტურის ხმა, მაგრამ რა-თგან ძალიან მაღლიანი კაცი იყო და ჰხედუ-და დამძიძილს მეფანტურესა, უგდებდა ფან-ჯრიდამ თითო ოროლა გროშასა.

საკირველი იყო, რამ თუმცა ზალაყინ ორთაგ თვალით დაბრძანდა, მაგრამ ვერცხლისა და ოქროს მხედველობა არ დაეკარგა; არამთუ ამოღებულს ოქროსა და ჯიბეში შენახულ-საც კი ჰხედავდა.

გავიდნენ საუკუნენი, გაჰყვა საუკუნეთა ზა-ლაყინ მეფანტურეცა, და შთამამელობისა-თვის დარჩა გამოუცვლელი გინაობა ზალა-ყინისა; მხოლოდ ლეგენდა გვაცნობებს, რომ იგი იყო კაციო.

ა. შ.

ყმაწვილი კაცებისაგან, — რა დროს ჩემი სწავ-
ლაა, აგრეთვე წლისა შევიქმნებო; ვისაც
სწავლის ხალისი და სურვილი აქვს, ის, რა-
საკვირველია, თავის დღეში არ შეხედავს
ხნიანობას.

მტკთა ბიუბნერის სტატისტიკური გამო- ანგარიშებით წელს 10,000 კაცში მოსწავლე- ნი არიან: პრუსიაში — — — — 1,520
ანგლიაში — — — — 1,400
ლორანდიაში — — — — 1,200
შრანდიაში — — — — 1,160
ბელგიაში — — — — 1,140
აესტრიაში — — — — 930
ისპანიაში — — — — 620
იტალიაში — — — — 500
და რუსეთში — — — — 150

ამბობენ რომ ლესეპსი, რომელმაც შე-
ერთა დიდი არხით ორი ზღვა — შუა მიწისა
და წითელი, აპირებს ერთი კიდე უფრო სა-
კვირველი საქმის მოხდენას. — ზოგიერთი სწა-
ვლული მოგზაურები, რომელთაც აფრიკის
შუა გული ადგილები გამოუცვლევიათ, ამტკი-
ცებენ, ვითამც ეხლანდელი სახარის მაგიერათ
ერთ დროს ზღვა ყოფილა. — ლესეპსმა მიიღო
ეს ყურადღებაში და გაგზავნა რამდენიმე
ინჟინერები სახარისა და იმის გარეშე მოადგი-
ლების გამოსაკვლევად და დასახედავად. ამ
გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სახარის უდა-
ბნოს შუა გული ადგილები ჩაწეულია და
ნაპირები კი მაღლებულია, ასე რომ შუა
მიწის ზღვა 27 მეტრით *) უფრო მაღლა
სდევს, ვიდრე ეს სახარის ნაპირები. აქედან
ლესეპსმა გამოიყენა ის დასკვნა, რომ 120,000
მეტრის სიგრძე არხი რო გაიყვანოს შუა მიწის
ზღვისა და სახარის შუა, მაშინ სახარა შეუე-
რთდება შუა მიწის ზღვას და ამრიგათ გაკეთ-
დება მშვენიერი მისელა-მოსვლის საშუალება
აფრიკასა და ევროპას შუა, რომელიც ეჭვი
არ არის ორივე მხარეს ბევრ სარგებლობას
მოუტანს.

მოსკოვში არის, როგორც „Современный
Известия“ ში სწერენ, „საზოგადოება, ძალე-
ბის ქურდებისა“, ამ საზოგადოებას ჰყავს
თურმე თავის აგენტები ყველა მოსკოვის ნა-
წილებში; ამ ხელობას, როგორც სწერენ,
კარგი სარგებლობა მოაქვს; ამ საზოგადოების
დირექტორს აქვს თურმე ამ ნაირი ხელობით
შეძენილი საკუთარი სახლი მოსკოვში; ის არ
მალავს თავის ხელობას, ამიტომ რომ თით-
ქმის არა სდევნიან ძალის ქურდობისათვის.
ისინი იპარავენ საუკეთესო ჯიშის ძაღლებს
და გზავნიან გასაყიდლათ სხვა და სხვა ქალა-
ქებში, უფრო მომეტებული ნაწილი კი პე-
ტერბურღში მიჰყავთ. იმათ აქეთ დანიშნუ-
ლი ერთი ადგილი, საცა ყოველი წვერი უნ-
და მივიდეს ხოლმე კვირაობით დანიშნულს
დროზე; იქ ლაპარაკობენ და სჯიან ძაღლების
მოპარვაზე. თუ ვისმე ძაღლი დაეკარგა, უნ-
და მიჰმართოს იმათ და ჰკითხოხ-ხომ არა
ჰყავთ ამა და ამ ნაირი ძაღლი? იმწამ-
სევე ერთი ამთავარი გაგისმობთ თქვენ ცალ-
კე და გეტყვი: „რამდენს მომცემთ, რომ მო-
გაყვანოთ?“ როცა შეიტყობს თქვენგან პი-
რობებს, წაგიყვანთ რომელიმე დუქანში, გა-
მოგართმევთ ქალაქს რომ „თუ ესა და ეს
კაცი (სახელი იმისი) მომიყვანს ამა და ამ ნა-
ირ ჩემს ძაღლს, რომელიც მე დავკარგე, ვალ-
დებული ვარ მივსცე იმას ამდენი (რიცხვი)
მან. და ამის შემდეგ მომიყვანს არაფერი და-
ვა არ გაუწოა“. მეორე ან მესამე დღეს, და-
რწმუნებული იყავით, რომ ეს კაცი ძაღლს
მოგიყვანთ; თქვენც, რასაკვირველია, იმის

*) მეტრი ჩვენებური აღლის ოდენაა; ორი მეტრი
და ნახევარი ერთს საყენ შეადგენს.

მაღლობელი, რომ, ძალი მოგპარა, პირო-
ბისა მებრ უნდა მისცეთ, რაც ერგება.

ლაშქარი. (არაკი)

შრინველთ და ოთხფეხთ პირუტყვთა
მართელ დიდი ომი ჰქონდათ,
ჰგლეჯდნენ ერთმანეთს უწყალოდ,
წამსაც არ სდგებოდნენ მშვიდათ.

ხან ოთხფეხნი პირუტყვები,
ხან ფრინველები ამარცხებენ,
ხან ერთნი გამარჯვებასა,
ხან მეორენი ხდილობენ.

ლამურა ცრუ და პირმოთენ
მოს შორიდგანა უტყუბს;
ხან ეკედლება ფრინველსა,
ხან მიუდგება პირუტყვებს.

შრინველები დაამარცხებენ —
ლამურა მათთანა ხარობს,
მთხევთა მასხარათ იგდებს,
მათს ნაკლულენობას მოსხარობს.

„მინ მოვა მამაც ფრინველთან,
ჰაერში მოცურავებთან,
მძლავრ ფრთიან და გონივრებთან,
მართის ლექსით, ყოვლით სრულთანა.“

პირუტყვი გაიმარჯვებენ,
მსწრაფლ ჩაერევა ამათში,
იციის და რახარბებს —
შრინველებსა ურებს ტალახში!...

„ზანა გმირთა — მძლავროვანთა
შრითანი უნდა ეღარდნენ?!
ზანა მათ კბილთა აღმასთა
სუსტის ნისკარტებით დახედნენ?!“

დაქანულ-დაწყვეტილებამან
მართავ მხარემ გარდასწყვიტეს;
შერიგდნენ, ჩხუბი ამოსპონ,
ნულარ მიხედნენ უწინდელს.

მაშინ ცხადათა გამოჩნდა
ლამურას პირმოთენობა,
სისაქალე, სიავკაცე
და ყოველი ბოროტება....

მორივე მხარე აღივსნენ
მეთილშობილურ ზიზლითა
ლამურაზედ — პირმოთენებედ;
აღავსეს იგი ფურთხითა...

ზანადღეს თვისგან ორგული,
აღარც ერთი არ იკარებს.
შერცხვნილი, საძაგელი
მედარ იხილავს დღეს და მზეს...

ლამე თავს გამოჰყოფს კარში,
რომ შიშვლით არ მოკედეს,
მაგრამ მაშინაც შიშვითა
მართის და გული კანკალებს:

ძატას უბრძანეს პირუტყვთა
და ფრინველთა ბაიუშსა
ფრინვლის და კბილს არ იშურებდნენ —
სად მოასწრონ ლამურასა.

მკითხველნო, ვგონებ, რომ ვცხენოთ
მრუფიან ცხოველებშია,
იქნება კიდევცა ვაგოთ
ლამურა ორი — სამია....

ზ. ხითაროვი.

მ. ბორი.

შოჩბა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა
თ ო ბ ი თ მ რ ე ვ ა ნ შ ი და ჯ უ ლ ზ ი ს ა კ ე ნ . — ს ა მ
შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ა ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი და მ ე
მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ უ ქ ი ფ ო ჩ ტ ა . — მ თ ხ შ ა ბ ა თ ო
ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი, მ ლ თ ა ს შ ი — შ ო თ ა მ დ ი ნ , მ რ ე
ვ ა ნ შ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო პ ო ლ შ ი და ნ ო ე ო ბ ა ი ა ზ ე თ
შ ი . — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი . —
პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მ ლ თ ა ს შ ი, ძ ა ხ ე თ შ ი და
მ რ ე ვ ა ნ შ ი . შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და
შ ე მ ა ხ ა შ ი . — ძ ე ი რ ა ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და
მ ლ თ ა ს შ ი .

ტელეგრაფი.

დებულის გასაგზავნი ფასი თბილისიდან:
მ ლ თ ა ს შ ი, ბ ა ქ ა ს, მ ლ ა დ ი კ ა ე კ ა ზ ს, მ რ ა ზ ი
რ ს, შ ო თ ს, მ რ ე ვ ა ნ ს, ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს, ნ ე
ხ ა ს, შ ე მ ა ხ ა ს — 1 მ ა ნ . ასტრახანს, მ ერ ო შ ი,
მ ო ს კ ო ე ს და მ დ ე ს ს ა ს — 2 მ ა ნ . — მ ო რ ს, ს ი
ლ ნ ა ლ ს — 50 კ ა ზ . — პ ე ტ ე რ ბ უ რ ლ ს, მ ე ნ ე ვ ა ს, ს ტ ა მ
ბ ო ლ ს — 3 მ ა ნ . — პ ა რ ი ჟ ს, ლ ი ო ნ ს, მ ა რ ს ე ლ ს —
3 მ ა ნ . და 38 კ ა ზ . —

საზოგადოებრივი ცნობები.

26 ივლისს პეტერბურგის ბირჟაზე პირვე-
ლი შინაგანის სესხის ბილეთები გაიღო-
და — — — — 174 მან. და 25 კაპეკით
მეორე სესხისა — — — — 174 მან.
ხუთ სარგებლიანი (5%) სახელმწიფო ბანკის
ბილეთები — — — — 90 მან.
5% გამოყიდვის მოწმობები — — 85 მან.
ნუხის აბრეშუმი იქვე გაიღა — 225 მან. ფ.
ბუხარის ბამბა — 12 მან. და 75 კაპ. ფუთი
ამერიკული ბამბა — 17 მან. ფუთი.

შერილისა და თბილისის შუა რკინის გზის
რკინის ხიდების გასამართავათ არის საჭირო
240,000 ფუთი სიმძიმის გაღატანა.

სხვა და სხვა ხიდების იარაღების ზიდვა თა-
ვის დანიშნულს ადგილამდინ უნდა დაიწყოს
ამ წლის ოქტომბრიდან და ყოველთვე უნდა
მიიტანებოდეს 40,000 ფუთი.

იმ ნივთებისათვის, რომელნიც ასს ფუთ-
ზედ მძიმე იქნება სახელმწიფო ურმები მიე-
ცემათ.

მისაც ამ პოდრადის აღება ჰსურს, იმან თა-
ვისი განცხადება უნდა გაგზავნოს ჰაეკავაზის
რკინის გზების მუშაობის მეფურთესთან მუ-
თაისში.

ძავეასიის აქეთა მხრის პრიკაზის გადაწყვე-
ტილებით, მელაეის, მსურგეთის და ღუმე-
თის სეზდის სამმართველოებში 20 ამ წლის ოქ-
ტომბრის იქმნება ეაჭრაბა იმ მამულების გასა-
სყიდლათ, რომელნიც ეკუთვნის ქვემო მოხსე-
ნებულ პირებს; მამულები იყიდებიან პრიკაზის
ვალში. ა) მელაეის მოქალაქეს ალექსანდრე
ანტონის ძეს ჰაზახოვს 1863 წ. 2,000 მანეთ-
ში დაგირავებულია ეენახი სოფელს რუის-
პირს. 2) მამული პორუჩიკის თავ. ალექსი
დავითის შვილის მაქუტაძისა 1860 წ. 10-ათას
მანეთში დაგირავებულია მსურგეთის უეზდ-
ში, სოფელს ნიგოეთში, ჰყონოგვარში და,
მუხუთში. — 3) თავ. დავით ზურაბის ის ხიმ-
შიევისა 1865 წ. 1,200 მანეთში დაგირავე-
ბულია ეენახი ღუმეთის უეზ. სოფ. ბულაქ-
ურში.

ჰიდვის მსურველს შეუძლია მივიდეს ზე-
მომოხსენებულ უეზდის სამმართველოებში
და ნახოს ამ საქმეების შესახები ქალაქდები
და სიები.

მთავარ სამმართველოს უფროსის ნებადარ-
თვით ძავეკაზიის აქეთა მხრის სახაზინო პა-
ლატაში 19 აგვისტოსთვის დანიშნულია ეაჭ-
რობა მოლითის, ხარაგაულის, შერილისა და
სიმონეთის სტანციების შეკეთებაზე. პოდრა-
დის ფასი 3,879 მან. და 43 კაპეკია.

მაჭრობაში გარევის მსურველმა აღრევე
უნდა შეიტანოს პალატაში თხოვნა და პოდ-

რადის მესამედი-ბეთ, რომ დროზე-მანამ
მათი გაშინჯვა.

პირობები და სმეტა პოდრადის მსურველს
შეუძლია ნახოს ძავეკაზიის აქეთა მხრის პალა-
ტაში.

თბილისის მღვდლის სასამართლოს ბაქაულის თანა-
მდებობის ამსრულებელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრე-
ბი თავის სახლში, პირველ განყოფილების მეოთხე ნა-
წილში ამით აცხადებს, რომ წელს აგვისტოს ოთხში
თბილისის ოლქის სასამართლოში ისუიდება, მეორეთ
შეუფაჭრებლათ, ერთ ეტაჟიანი დუქანი, რომელშიაც
არის ფურნე, გზოთი; ეს დუქანი არის 1 განყოფილე-
ბის 1 ნაწილში, მალაფინის პრასპექტზე, მიწა 45
კვად. საყენა; ეკუთვნის თბილისში მცხოვრებს
ბრიგოლ დავითოვს. ისუიდება ქვერივი მლისაზედ ბა-
ლიოზოვის და იმის ობლები ვალში, რომელიც შეა-
დგენს 720 მანეთს. ეს ფურნე არის დაფასებული
3,500 და გირაოთა აქვს 1,600 მანეთში არუთუნ
ბურგენოვს.

დწერილობით აღწერა ამ ფურნისა და ეზოის შეი-
ძლება ნახონ ყოველ დღე 10 დგან 1 საათამდე თბი-
ლისის მღვდლის სასამართლოში, ბაქაულ ხანდამოვთან

საბიბლიოგრაფიული ცნობა.

ახალად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილ.
ჰაეკავაძის მოთხრობა

„კაცია-ალამიანი“

მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ
ქალაქებში:

თ ბ ი ლ ს შ ი — მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ს და კ ა მ ზ .
ს ტ ა მ ა ზ ი, ხ ა ნ ს ქ უ ჩ ა ზ ე, ბ ე ბ უ თ ო ვ ს ს ა ხ ლ ე ბ შ ი .

მ ლ თ ა ს შ ი — უ . ბ ე რ ა ს ი მ ე ქ ა ლ ა ნ დ ა რ ი -
შ ე ი ლ თ ა ნ .

ბ ო რ შ ი — უ . მ რ ის ტ ე ფ ო რ ე მ ა მ ა ც ა შ ე ი ლ -
თ ა ნ .

ა ხ ა ლ ც ი ხ ე შ ი — უ . ს ტ ე ფ ა ნ ე ბ ე თ ა ნ ო ე -
თ ა ნ .

მ ზ უ რ გ ე თ შ ი — უ . მ ი ხ ე ი ლ მ ი ქ ო მ ე ს თ ა ნ .
შ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი .

იხილეთ

პეტერბურღში და ამ ახლო ხანში გამოცე-
მოთხრობა დ. ჰონკაძისა

„სურამის ციხე“;

აგრეთვე რუსთველის პორტრეტი, ფო-
ლაღედ მოჭრილი სამზღვარს გარეთ.

საბიბლიოგრაფიული ცნობა.

ძავეკაზიის ანდანი და პრიველი საპროკურატორი ი. ბოგე-
ბა-
მეოთხე გამოცემით გამოცემულა, რიცხვით ექვსი ათასი ეგზემპლარი, და
ისუიდება: სასულიერო სემინარიაში და უ. მართლმადიდებელთა მღვდელთა
ხნის განმავლობაში ყველა საქართველოს ქალაქებში გაგზავნება გასასყიდლათ; ფასი
ყოველგან ორი რუბლი.